ირეალიზმი და სამყაროთა კონსტრუირება ნელსონ გუდმანის ფილოსოფიაში

გურამი საბიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე

პროგრამა - ფილოსოფია

ხელმძღვანელი - თამაზ თოხაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი (2026)

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

გურამ საბიაშვილი

20.6.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ნელსონ გუდმანის ირეალიზმს: პოზიციას, რომ არსებობს მრავალი სამყარო, რომელთაგან არც ერთი არ არის უნიკალურად სწორი. ამ შეხედულების მიხედვით, არ არსებობს ერთი, ჩვენგან დამოუკიდებელი რეალობა და არც მისი საბოლოო, პრივილეგირებული აღწერა. ნაცვლად ამისა, გუდმანისეული ირეალიზმი ამტკიცებს, რომ ადამიანი სხვადასხვა სიმბოლური სისტემის მეშვეობით თავადვე ქმნის მრავალ, ურთიერთგანსხვავებულ აქტუალურ სამყაროს

ნაშრომში გაანალიზებულია გუდმანის რადიკალური კონსტრუქტივიზმი და მისი ძირითადი კომპონენტები, კერძოდ, სამყაროს აგების პროცესები. შემდგომ, განხილულია ძირითადი არგუმენტები ირეალიზმის სასარგებლოდ, რომლებიც ხელოვნებას, მეცნიერებას, პერცეფციასა და კონტრადიქტორულ დებულებებს უკავშირდება. კვლევა ასევე ფოკუსირდება კრიტიკულ ნაწილზე და თანამედროვე მოაზროვნეთა ნაშრომების ანალიზის ფონზე წარმოაჩენს ირეალიზმის წინაშე არსებულ ისეთ ფუნდამენტურ გამოწვევებს, როგორიცაა ეპისტემოლოგიური და ონტოლოგიური რელატივიზმი.

ნაშრომის ძირითადი თეზისია გუდმანის თეორიის ინტერპრეტაცია, რომელსაც „ტოლერანტულ-რეალისტურ ინტერპრეტაციას“ ვუწოდებ. აღნიშნული პოზიცია, ერთის მხრივ, გუდმანისაგან განსხვავებით უშვებს ჩვენგან დამოუკიდებელი სამყაროს არსებობის შესაძლებლობას, მეორეს მხრივ, დასაშვებს ხდის თეორიულ სამყაროთა პლურალიზმს. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ტოლერანტულ-რეალისტური ინტერპრეტაცია უმკლავდება გუდმანის წინაშე წამოჭრილ ფუნდამენტურ პრობლემებს, და თავსებადია სამყაროს ვერსიათა პლურალიზმთან და მასში მონაწილე პროცესებთან.

კვლევა ეყრდნობა ფილოსოფიის სტანდარტულ მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს კონცეპტუალურ ანალიზს, ალტერნატიული თეორიების მკაფიო არტიკულაციასა და მათ შეფასებას თეორიული კრიტერიუმების მიხედვით.

Abstract

This MA thesis is a study of Nelson Goodman's irrealism: a position maintaining that there exist multiple worlds, none of which is uniquely correct. According to this view, there is no single reality that exists independently of us, nor is there a final, privileged description of it. Instead, Goodmanian irrealism maintains that human beings construct multiple, distinct actual worlds through different symbolic systems.

The thesis analyzes Goodman's radical constructivism and its principal components, particularly the processes involved in worldmaking. It then discusses the main arguments in favor of irrealism, focusing on considerations related to art, science, perception, and contradictory statements. Drawing upon contemporary literature, the study examines the main difficulties of Goodman's theory, such as epistemological and ontological relativism.

The central thesis of this work is an interpretation of Goodman's theory that I call the "tolerant-realist interpretation". On the one hand, in contrast to Goodman's original position, this interpretation allows for the possibility of a mind-independent world. On the other hand, it preserves the admissibility of theoretical pluralism regarding worlds. The thesis demonstrates that the tolerant-realist interpretation addresses the fundamental problems raised against Goodman's view while remaining compatible with the pluralism of world-versions and the processes involved in their construction.

The study employs the standard philosophical methodology, which includes conceptual analysis, the clear articulation of competing theories, and their evaluation according to epistemic criteria.